შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9 (9.574)

16–22 მარტი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

GIZ-ისა და გერმანული მედიის წარმომადგენლები დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ცენტრალური ოფისისა და გერმანული ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. ვიზიტის ფარგლებში ისინი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს შეხვდნენ.

შემდგომი თანამშრომლობისა და პარტნიორობის მიზნით სტუმართა ძირითად ინტერესს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაცნობა წარმოადგენდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა,რომ მძიმე სიციალური ფონისა და მოშლილი ინფრასტრუქტურის გამო ბევრმა დედოფლისწყაროელმა მშობლიური რაიონი მიატოვა,რამაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა,ფაქტობრივად,გაანახევრა.ირაკლი შიოლაშვილმა დეტალურად ისაუბრა სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემებზე,გაუდაბნოების რისკებზე,სარწყავი სისტემებისა და ქარსაცავი ზოლების,ასევე ტყეების ფაქტობრივ არარსებობასა და ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე. მან იმედი გამოთქვა,რომ გერმანიის ხელისუფლება საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ეგიდით მნიშვნელოვან პროექტებს დედოფლისწყაროშიც განახორციელებს.

მედიისა და GIZ-ის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის მოსაზრებამ დედოფლისწყაროში ტურიზმის განვითარების შესახებ.,,ჩვენ გვაქვს ბევრი წინადადება და ინიციატივა დედოფლისწყაროში ტურიზმის განვითარების მიმართულებით.ამისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია.გვაქვს უნიკალური თვისებების ტბა,ასევე უნიკალური ნაკრძალი და არაერთი ღირშესანიშნავი ადგილი საუკეთესო ხედებითა და ცუდი გზებით.ამიტომაც ტურიზმის განვითარების კუთხით თქვენი მხარდაჭერა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“–განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი და საკრებულოს წევრი გელა თეთრაულიც ესწრებოდნენ.

GIZ-ის სათაო ოფისის ხელმძღვანელმა გიონერმა აღნიშნა,რომ გერმანიის ხელისუფლება საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონიმიკური პარტნიორობის ფარგლებში გარკვეული სახის პროექტებს დედოფლისწყაროშიც განახორციელებს.განსახორციელებელი პროექტები ერთობლივად დაიგეგმება.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.გერმანელმა ჟურნალისტებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლისგან მათთვის საინტერესო თემებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ამოქმედდა

28 თებერვლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა. პროგრამა ითვალისწინებს იმ პირთა გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონალურ სამედიცინო მომსახურეობას, რომლებიც შედიან ექვსიდან სამოც წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

ამ პროგრამაში არ შედიან ის პირები, რომლებიც 2013 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით უკვე სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებით სარგებლობენ; ასევე ის პირები, რომლებიც კერძო სადაზღვევო სქემებში არიან ჩართული და ის ბრალდებული/მსჯავრდებული მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

პროგრამაში მონაწილეობას ის სამედიცინო დაწესებულებები მიიღებენ, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და გამოთქვამენ პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ისინი უნდა ეთანხმებოდნენ პროგრამის პირობებს და დადგენილი წესით წერილობით დაუდასტურონ სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამაში მონაწილეობის სურვილი.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა ახალი ხელისუფლების მხრიდან წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან აღნიშნული ასაკის მოქალაქეები დღემდე მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ უფასო სამედიცინო მომსახურებას..ხელისუფლების ზრუნვა საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე კიდევ უფრო თვალსაჩინო პირველი ივნისიდან გახდება, როცა გადაუდებელთან ერთად გეგმიური პროგრამებიც დაფინანსდება“–აცხადებს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან არსებული ინსპექტირების სამსახურის უფროსი დედოფლისწყაროში ნათელა თამაზაშვილი.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს:

გადაუდებელ ამბულატორიულ და გადაუდებელ სტაციონარული მკურნალობის გარკვეულ ნოზოლოგიებს, რომლებიც ჩამოთვლილია დადგენილებაში და პაციენტი მას ექიმთან ვიზიტისას გაარკვევს.

გეგმიური ამბულატორიული მომსახურება ითვალისწინებს 2 ძირითად ბლოკს:

ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მომსახურებას, რომელიც, თავის მხრივ,

მოიცავს:

ეროვნული კალენდრით გათვალისწინებულ პროფილაქტიკურ აცრებს;

სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე:

დაავადებათა მართვასა და რეფერალს;

ლაბორატორიულ გამოკვლევებს ექსპრეს დიაგნოსტიკური მეთოდით (შარდის ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში);

ელექტროკარდიოგრაფიას;

სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემას (არ მოიცავს სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებულ, ავტომობილის მართვის ან იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენ ცნობებს);

- ბინაზე ვიზიტს.

2. ექიმის დანიშნულებით კლინიკურლაბორატორიულ გამოკვლევებს:

სისხლის საერთო ანალიზს;

შარდის საერთო ანალიზს.

პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში (პოლიკლინიკებში) მოსახლეობის მიმაგრება და რეგისტრაცია მოხდება შემდეგი წესით:

ამბულატორიული მომსახურების მისაღებად მოქალაქეს უფლება აქვს, თავად აირჩიოს პროგრამაში მონაწილე პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება (პოლიკლინიკა). ამასთანავე, მოსარგებლეს არჩეული სამედიცინო დაწესებულების შეცვლა შეუძლია ყოველ ორ თვეში ერთხელ.

პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებმა პროგრამის მოსარგებლეთა რეგისტრაცია უნდა განახორციელონ მხოლოდ მოსარგებლის თანხმობის საფუძველზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს მოსარგებლის ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, პაპა, ბებია, და, ძმა, მეურვე ან მზრუნველი და კანონ მდებლობით

განსაზღვრული სხვა კანონიერი წარმომადგენელი) ხელმოწერით.

მოსარგებლის მიერ კონკრეტულ პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციისთვის „თანხმობის ფორმა“ შემუშავებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ და ხელმისაწვდომია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე www.moh.gov.ge.

საყოველთაო ჯანდაცვა

პროგრამით მოსარგებლე პირს უფლება აქვს, რომ რეგისტრირებული იყოს მხოლოდ ერთ პოლიკლინიკაში/პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში.

რეგისტრაციის შესახებ მონაცემები შედის სოციალური მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში და ორმაგი რეგისტრაციის შემთხვევაში, რეგისტრაცია უქმდება.

გადაუდებელი მომსახურების მისაღებად მოსახლეობის რეგისტრაცია მოხდება შემდეგი წესით:

(გაგრძელება გვ.4)

ქალაქ დედოფლისწყაროში ნაგვის ახალი ურნები დაიდგა

გვ. 3

„ადითს“ ყმა უნდა უსმელ-უჭმელი, ტანთჩაუცმელი

გვ. 4

ულტიმატუმი – ეკლესიას?

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსად გიორგი ბუბუნაური დაინიშნა

შინაგან საქმეთა დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს უფროსად 1981 წელს დაბადებული გიორგი ბუბუნაური დაინიშნა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ბუბუნაური მანამდე რამდენიმე თვის განმავლობაში შსს თელავის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის პოსტს იკავებდა.

უფრო ადრე კი გიორგი ბუბუნაური ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი, შემდეგ კი ამავე სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის მოადგილე გახლდათ.

ბუბუნაურმა ივანე ზურაბაშვილი შეცვალა. ზურაბაშვილი შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს გასული წლის 4 ნოემბრიდან იანვრის ჩათვლით ხელმძღვანელობდა. რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ ზურაბაშვილმა სხვა სამმართველოში განაგრძო მუშაობა.

ილია მარტყოფლიშვილი

აღსრულების ბიუროს შენობაში ცეცხლი გაჩნდა

შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს ყოფილი შენობის სხვენს ცეცხლი გაუჩნდა. წინასწარი ინფორმაციით, ხანძარი ელექტროსადენებმა გამოიწვია.

მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ჯგუფი თითმხილველებმა გამოიძახეს, ცეცხლის ლოკალიზება მალევე მოხერხდა. შენობაში, სადაც აღსრულების ეროვნული ბიუროს ადგილობრივი ოფისია განთავსებული ხანძრის შედეგად არავინ დაზიანებულა.

როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ბესიკ ლილუაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ზარალი უმნიშვნელოა.

„აღსრულების ბიუროს ზარალი არ განუცდია, მხოლოდ ელექტროსადენები და ორი ჩამრთველი დაზიანდა. ახლახან ვესაუბრე კახეთის ბიუროს ხელმძღვანელს და რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ხანძრის გამომწვევ მიზეზად მოძველებული ელექტროსადენები სახელდება. ეს შენობა ჩვენ არ გვეკუთვნის,“ — აღნიშნავს ლილუაშვილი.

შეგახსენებთ, ეს უკვე მეორე შემთხვევაა. ამავე შენობაში, ორი წლის წინ, იგივე მიზეზით ცეცხლი პოლიციის სამმართველოს ფუნქციონირების დროსაც გაჩნდა. პოლიციის გამჭვირვალე შენობის გახსნის შემდეგ ეს შენობა უფუნქციოდ დარჩა, რის შემდეგაც აქ აღსრულების ბიურო განთავსდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება#90

ქ. დედოფლისწყარო 07.03. 2013 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მიმდებარედ მურთაზ ხუცურაულის ფერმასა და მასზე მიმაგრებულ ტერიტორიაზე ზოოანთროპოზონური ინფექციური დაავადების ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შესახებ

ცოფის კერის აღმოჩენასთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მიმდებარე ტერიტორიაზე (მურთაზ ხუცურაულის ფერმაში, აგილ ჯაფაროვის კუთვნილ ძაღლზე ცოფის დადგენასთან დაკავშირებით) ზოოანთროპოზონური ინფექციური დაავადების ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მიზნით, საქართველოს კანონის -სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის, 53-ე, 55-ე და 56-ე მუხლების, „საერთაშორისო ვეტერინარული სანიტარული კოდექსით განსაზღვრული „ა“ და „ბ“ ჯგუფის საშიში გადამდები სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 16 სექტემბრის №2-217 ბრძანების და „ცხოველთა საკარანტინო წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 1 მაისის №2-71 ბრძანების, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონალური სამმართველოს 2013 წლის 5 მარტის №22 მომართვის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მიმდებარედ მურთაზ ხუცურაულის ფერმასა და მასზე მიმაგრებულ ტერიტორიაზე, ზოოანთროპოზონური ინფექციური დაავადების -ცოფის საწინაღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების და მასზე ზედამხედველობის განხორციელების კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

აკაკი ნატროშვილი - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ივანე ხელაშვილი - მუნიციპალიტეტის გამგებლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

მიხეილ ქევხიშვილი - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს დედოფლისწყაროს სპეციალისტი, კომისიის წევრი;

მარიეტა გონაშვილი - ააიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი, კომისიის წევრი;

თემურ მურვანიძე - სოფელ ფიროსმანის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი-ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, კომისიის წევრი;

ნონა გომელაური - მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

მაყვალა სულაშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი, კომისიის წევრი.

2. ვეტკანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გასატარებლად, ცხოველების საშიში სნეულებების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მიმდებარედ მურთაზ ხუცურაულის ფერმა და მასზე მიმაგრებული ტერიტორია გამოცხადდეს ცოფის მხრივ არასაიმედო კერად და დაწესდეს საკარანტინო ზედამხედველობა ორი თვის განმავლობაში.

3. ააიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს“ დაევალოს დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული მოსახლეობის აღრიცხვა და აწარმოოს მონიტორინგი ცოფით დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული მოსახლეობის ანტირაბიული პროფილაქტიკური აცრების ჩატარებაზე.

4. სოფელ ფიროსმანის მიმდებარედ მურთაზ ხუცურაულის ფერმასა და მასზე მიმაგრებულ მთელ ტერიტორიაზე, როგორც ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერაში, აიკრძალოს ძაღლებისა და კატების გაყვანა ან მათი სარეალიზაციოდ გადაყვანა.

5. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალურმა სამმართველომ უზრუნველყოს:

-ცოფიან ცხოველთან კონტაქტირებული ცხოველების გამოვლენა, ლიკვიდაცია;

-იმუნო-ბუფერული ზონის შექმნის მიზნით ცოფის ამთვისებელი ჯანმრთელი ცხოველების იძულებითი ვაქცინაცია;

-ცოფიანი ცხოველის მიერ დასნებოვნებული ტერიტორიის დეზინფექცია;

-აღნიშნული დაავადების თაობაზე მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა.

6.სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტთა მიერ არაკეთილსაიმედო ზონაში მცხოვრებ მოქალაქეებს მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კლინიკურად ჯანმრთელი რძის საკვებად გამოყენება დასაშვებია მხოლოდ 80-85 გრადუსზე 30 წუთის პასტერიზაციის ან ხუთი წუთი დუღილის შემდეგ.

7.ვეტკანონმდებლობის თანახმად, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს წარდგინებით, დაავადების კერაში შეზღუდვები მოიხსნას ცოფით ავადმყოფი ცხოველის სიკვდილის უკანასკნელი გამოვლინებიდან 2 თვის შემდეგ.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“ და განთავსდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (დედოპლისტსკარო.გე.)

9. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

10. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონული სასამართლოს დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, ჰამლეტ გონაშვილის ქ. №2) უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

აკაკი ნატროშვილი,
მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

რეგიონული თვითმმართველობა მოსახლეობას დაუახლოვდება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა, 13 მარტს კახეთის რეგიონის გამგებლებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები გააცნო და აღნიშნული სტრატეგიის მიმართულებები მათთან ერთად განიხილა. შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც დაესწრო.

როგორც სამინისტროს პრესცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, რეფორმის შედეგად, ჩამოყალიბდება ორდონიანი — მუნიციპალური და რეგიონული თვითმმართველობა, რაც მოსახლეობას საკუთარ თვითმმართველობებთან დააახლოებს და გაზრდის მათი ჩართულობის დონეს საკუთარი ქალაქისა თუ მუნიციპალიტეტის საჭიროებების გადაწყვეტის პროცესში.

გარდა ამისა, 3 500 სოფელში შეიქმნება საზოგადოებრივი თვიმმართველობის საბჭოები.

ილია მარტყოფლიშვილი

მინისტრი გამგებლებს და საკრებულოს თავმჯდომარეებს შეხვდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია და მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების გამგებლებსა და საკრებულოების თავმჯდომარეებს შეხვდნენ. შეხვედრას დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილიც ესწრებოდნენ

სამუშაო შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა დედოფლისწყაროს გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სოლომონ ღორაშვილი.

სამინისტროს წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან რეგიონული პროექტების 200 - მილიონიანი ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების პრიორიტეტები განიხილეს. დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა შეხვედრას ნაყოფიერი უწოდა.

რწმუნებულებს სოფლის დახმარების პროგრამის დეტალები გააცნეს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კახეთის რეგიონის კურატორი თედო ბეჟანიშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებს შეხვდა.

დედოფლისწყაროს გამგეობის პრესმდივნის მაკა სულაშვილის ინფორმაციით, შეხვედრაზე თედო ბეჟანიშვილმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე“ დეტალურად ისაუბრა.

მისი განცხადებით, განხორციელებული პროგრამების მონიტორინგი, როგორც ცენტრალური ხელისუფლებიდან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან აქტიურად განხორციელდება, რაც საბოლოოდ სამუშაოების ხარისხიანად შესრულებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრას დედოფლისწყაროს საკრებულოს ზოგიერთი წევრიც დაესწრო.

უფასო გამოკვლევები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივითა და მხარდაჭერით მუნიციპალიტეტის გამგეობისა და „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში გრძელდება მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევები. „წითელი ჯვრის“ მაღალკვალიფიციურ ექიმთა ბრიგადა ამჯერად ოზაანს, არბოშიკსა და გამარჯვებას ეწვევა. მოსახლეობას საშუალება აქვს ისარგებლოს შემდეგი მომსახურებით:ელექტროკარდიოგრამა, სისხლში შაქრის შემცველობის გაზომვა და ულტრასონოგრაფიული ექოსკოპია(უახლოესი სამგანზომილებიანი აპარატურით). მსურველებმა უნდა მიმართონ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ამბულატორიებს დილის ათიდან საღამოს თვრამეტ საათამდე.

შეგახსენებთ, რომ პირველი ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გასულ თვეში განხორციელდა. პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და ის დედოფლისწყაროს მთელ ტერიტორიულ ერთეულს ეტაპობრივად მოიცავს.

ქალაქ დედოფლისწყაროში ნაგვის ახალი ურნები დაიდგა

ქალაქ დედოფლისწყაროში ნაგვის ახალი ურნები დაიდგა.114 ერთეული ურნა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე გადანაწილდა.ძველებს კი სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება და იმ უბნებს გადაეცემა,სადაც მათი რაოდენობა არასაკმარისია,მათ შორის,სოფელ ხორნაბუჯსა და სამრეკლოსაც.ახალ ურნებთან ერთად დედოფლისწყაროს ახალი ავტომობილი მოემსახურება.ახალი ურნების დალაგებასა და ტექნიკის პირველად გამოყვანის პროცესს შპს „სერვისი–2007“-ის ხელმძღვანელი ელიზბარ ალუღიშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი პირადად დაესწრნენ.

აღსანიშნავია,რომ მუნიციპალიტეტის ერთადერთ ნაგავსაყრელზე გაწმენდითი სამუშაოები დასრულდა და ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზაც მოიხრეშა.,,სამომავლოდ ძირითადი აქცენტი მუნიციპალიტეტის იმ სოფლებზე გაკეთდება,სადაც დასუფთავების კუთხით არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა“-განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ამოქმედდა

(პირველი გვერდიდან)

გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის მისაღებად მოქალაქის (მოსარგებლის) მიერ რაიმე სახის წინასწარი რეგისტრაცია საჭირო არ არის. შესაბამის რეგისტრაციას შეტყობინების სახით აკეთებს სამედიცინო დაწესებულება, სადაც მოხვდება პაციენტი.

გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება მოიცავს:

გადაუდებელი ამბულატორია მოიცავს ისეთი გადაუდებელი მდგომარეობების მართვასა და სტაბილიზაციას, რომელიც არ საჭიროებს სტაციონარში 24საათიან დაყოვნებას. წინასწარ განსაზღვრულია მდგომარეობების სია, რომელთა გადაუდებელ ამბულატორიულ მართვას დაფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა.

ეს მდგომარეობები მოიცავს ტრავმებს, მოტეხილობებს, ჭრილობებს, თერმულ დაზიანებებს (დამწვრობა/მოყინვას), მოწამვლა/ინტოქსიკაციას, ცხვირიდან სისხლდენას, ალერგიის მართვას ანაფილაქსიური შოკის განვითარების რისკის დროს, შარდის შეკავებას, მწვავე ლარინგიტს (კრუპს), გულსისხლძარღვთა დაავადებებს (ჰიპერტონულ კრიზს, გულის რითმის დარღვევებს) და სხვადასხვა სახის მწვავე ტკივილს, სისხლისა და შარდის საერთო ანალიზს და ელექტროკარდიოგრამას, რომელსაც ლიცენზირებული ლაბორატორია ახორციელებს.

გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება მოიცავს:

პროგრამა ითვალისწინებს ისეთი მდგომარეობების დაფინანსებას, როდესაც დაუყოვნებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე, მოსალოდნელია ორგანოს ან/და კიდურის დაკარგვა ან პაციენტის გარდაცვალება რამდენიმე საათში. განსაზღვრულია 450ზე მეტი მდგომარეობა, რომელთა შემთხვევაშიც პროგრამა ითვალისწინებს გადაუდებელი ქირურგიული და თერაპიული დახმარების გაწევას.

პროგრამა ასევე მოიცავს ინტენსიურ თერაპიასა და კრიტიკული მდგომარეობების მართვას.

ითვალისწინებს თუ არა პროგრამით განსაზღვრული მომსახურება თანაგადახდას პაციენტის მხრიდან?

მომსახურება ფინანსდება სრულად, არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან.

გადაუდებელი სტაციონარული მომსახურებისათვის დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტი ერთ შემთხვევაზე 15 000 ლარის ოდენობით.

მშობიარობის ანაზღაურებასთან დაკავშირებული კითხვები:

მშობიარობის ხარჯების დაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში 2013 წლის 1 ივლისიდან განხორციელდება. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით ეცნობება მოსახლეობას. დღეისათვის „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ ხორციელდება მაღალი რისკის ორსულთა და მელოგინეთა მკურნალობა

2013 წლის 1 ივნისიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა გეგმიური ნოზოლოგიებით გაგრძელდება და გაფართოვდება.

„ადითს“ ყმა უნდა უსმელ-უჭმელი, ტანთჩაუცმელი

კომპანია „ადითის“ მიერ დედოფლისწყაროში სამედიცინო ობიექტების შესყიდვის შემდეგ სასიკეთო რომ არაფერი გაკეთებულა, ეს ჩვენმა მკითხველმაც კარგად იცის არაერთგზის გამოქვეყნებული წერილებიდან და თითოეულმა დედოფლისწყაროელმაც, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება პოლიკლინიკასთან ან საავადმყოფოსთან. არავითარი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ შესრულებულა ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, არ განახლებულა და არ გადაიარაღბულა სამედიცინო ტექნიკური აპარატურა, მოძველებულ, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ჩამოსაწერ დანადგარებს ჩვენი სპეციალისტების კვალიფიკაცია თუ ამოძრავებს, მხოლოდ თორემ ისინი უკვე საარქივო მასალაა. არავითარი სამუშაო პირობები არ აქვთ ექიმებს, ხოლო პაციენტებისათვის გაუსაძლისი მდგომარეობაა საავადმყოფოში, სადაც სრული ანტისანიტარიაა ძველი და გაუმართავი სველი წერტილების გამო, შეკვამლულ–შემჭვარტლული კედლები, მოუწესრიგებელი იატაკები, ღრიჭოებდაბჩენილი კარ-ფანჯარა ყოველგვარ სურვილს უკარგავს პაციენტს აქ იმკურნალოს, თუ, მით უმეტეს, შეშაც სახლიდან მოსატანი გაუხდება. პაციენტთა მიგრაცია მეზობელ რაიონებში კარგა ხანია დაიწყო. ამას ისიც ემატება, რომ სამედიცინო პერსონალი, რომელთა შემცირებაც ინტენსიურად მიმდინარეობს, ხელფასს ვერ ღებულობს თვეების მანძილზე. დიდი ძალისხმევა დასჭირდათ საახალწლოდ თვენახევრის ხელფასის მისაღებად. დღეისათვის მათ არ აუღიათ დეკემბრის, იანვრის, თებერვლის ხელფასები, მარტიც განახევრდა. „ადითის“ ხელმძღვანელობა კი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას არ ჩქარობს და თანამშრომლებს მხოლოდ დაპირებებით „ამშვიდებს“. დედოფლისწყაროს სამედიცინო პერსონალზე კი ეს „დამამშვიდებელი“ უკვე აღარ სჭრის და ხუთშაბათს, 14 მარტს მათ გაფიცვა გამოაცხადეს და უარი თქვეს თავისი მოვალეობის შესრულებაზე, რაც უკვე იმის გამოხატულებაა, რომ მეტის მოთმენა მათ აღარ შეუძლიათ: დაბალი დონის სამუშაო პირობები, დაგვიანებული ხელფასები და კიდევ სხვა ბევრი მიზეზი დაასახელეს იმისათვის, რომ ამ უკიდურესი ზომისათვის მიემართათ.

- როგორ შეიძლება ახალი წლის წინ მიღებული ხელფასი მარტის ბოლომდე მოიყოლო, ბევრი ჩვენგანი ოჯახის ერთადერთი დასაქმებული პირი და მარჩენალია. ელემენტარული ცხოვრების პირობები ხომ გვინდა, კომუნალური გადასახადი ხომ უნდა გადავიხადოთ, ხვალ და ზეგ ალბათ უწყლოდ, უდენოდ და უგაზოდ დავრჩებით ოჯახში, მეტის მოთმემნა აღარ შეგიძლია, გვეუბნებიან, სადაზღვევო კომპანია „არქიმედე“ ფულს არ გვირიცხავსო, ამ დროს სახელმწიფოს მოქალაქეთა დაზღვევის ფული „არქიმედესათვის“ ჩარიცხული აქვს, ამასთან ჩვენ გვაქვს ადგილობრივი შემოსავლებიც და გამგეობის მიერ სოციალური პაკეტით ჩვენი მოქალაქეებისათვის ჩარიცხული თანხებიც, რომელიც „ადითის“ ანგარიშზე ირიცხება, საინტერესოა, რატომ არ ხერხდება ან ხელფასების დარიგება, ან ტექნიკური გადაიარაღება, ან რემონტი, ეს ხომ ერთი დღე არ არის, წლებია. კატეგორიულად მოვითხოვთ, ყველა ღონე იხმაროს „ადითმა“ მოაგვაროს თავისი საქმეები და გადაწყვიტოს ჩვენი პრობლემები დადებითად. ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც თავის დროზე კაბალური პირობებით დაიდო და არავინ უპატრონა, „ადითს“ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად 1 აპრილამდე აქვს ვადა. 1 აპრილი კი კარს არის მომდგარი. ცხადია, ამდენი პრობლემის მოგვარებას ის ვერ შესძლებს. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, დავაყენოთ საკითხი შესაბამის სამსხურებში გადაიხედოს ხელშეკრულების პირობების შესრულების საკითხი და ჩამოერთვას მას ჩვენი მართვის უფლება. შეიძლება მან კიდევ დადოს პირობა და მოითხოვოს ვადის გაგრძელება, რის წინააღმდეგნიც ვართ ჩვენ - აცხდებდნენ ექიმები შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა პოლიკლინიკის სააქტო დარბაზში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს წარმომადგენლებსა და რაიონის სამედიცინო პერსონალს შორის.

შეხვედრას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, რომელმაც დიდი შრომა გასწია ამ შეხვედრის ორგანიზებისათვის.

- მიუხედავად იმისა, ეს ჩემი იურიდიული უფლებამოსილება არ არის, მაინც მინდა თავი ვალდებულად ვიგრძნო ჩემი თანამემამულეების წინაშე და ვეცადო, სამართლებრივ ჩარჩოებში გადაწყდეს ეს პრობლემები, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს აზარალებს. ამიტომ მოვიწვიე სწორედ ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, დავათვალიერებინე მათ საავადმყოფო და ვთხოვე შეგხვედროდათ თქვენ, ვიმსჯელოთ, როგორ გამოვიდეთ ამ რთული მდგომარეობიდან,–თქვა მან და სიტყვა ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტაუციების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ზურაბ უტიაშვილს გადასცა.

- ჩათვალეთ, რომ თქვენს წინაშე მინისტრია, რადგან ის ყველა ამ სიტუაციაში ბოლომდე გაცნობიერებულია. ჩვენ კარგად გვესმის თქვენი,თქვენი ხმა ჩვენამდე მოსულია. ამ ორ კომპანიას შორის წარმოშობილი ფინანსური დავა თქვენ გაზარალებთ. ანალოგიური მდგომარეობაა კიდევ 7 რაიონში, სადაც „ადითი“ განკარგავს სამედიცინო დაწესებულებებს. მინდა იცოდეთ, რომ სახელმწიფოს სადაზღვევო კომპანიებისათვის ანგარიში გასწორებული აქვს. ერთი რამ ცხადია, თქვენ გაქვთ დაგვიანებული ხელფასები და არა აუღებელი. არსებობს მედიაციის საბჭოს დასკვნა, რომ თქვენ გეკუთვნით ეს ხელფასი. რაც შეეხება გაფიცვას, ეს თქვენი იურიდიული უფლებაა, გინდ იმუშავებთ, გინდ-არა, მაგრამ თუ კარგად გავთვლით და გავიაზრებთ, ამ გაფიცვით კომპანია კი არა, თქვენ და თქვენი პაციენტები დაზარალდებით. თუ არ იმუშავებთ, პაცინტი სხვა გზას ნახავს, რაც შეიძლება ცოტა უფრო ძვირი დაუჯდეს და თქვენ დაკარგავთ პაციენტს, რაც შეიძლება ცოტა უფრო ძვირი დაუჯდეს და თქვენ დაკარგავთ პაციენტს, ხელფასის გამომუშავება გექნებათ დაბალი, რაც კომპანიას აწყობს და თქვენ დარჩებით უხელფასოდ იმ პერიოდში, რამდენ ხანსაც გაფიცვა გაგრძელება. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის იურიდიული უფლება არ გაქვთ, მაგრამ გეგმიური ავადმყოფისათვის უარის თქმა თქვენვე დაგაზარალებთ. ეს თქვენი გადასაწყვეტია. რაც შეეხბა შემდგომში თქვენი მფლობელობის საკითს, რამდენიმე გზა არსებობს მას შემდეგ, რაც „ადითს“ ხელშეკრულება შეუწყდება, რა თქმა უნდა, თუ ეს მოხერხდა. ეს გზებია: ან მოიძებნოს სხვა ინვესტორი, ან გადაეცეს ქონება მფლობელობაში და სამართავად მუნიციპალიტეტს, ან-ჯანდავცის სამინისტროს. რაც შეეხება სპეცდაფინანსებას, ეს ცოტა რთული საქმეა, რადგან ეს არ არის მაღალმთიანი რაიონი. (სამაგიეროდ სასაზღვრო რაიონიაო, ჩაერთო საუბარში გამგებელი). ისე რომ, წინასწარ არაფრის თქმა და პროგნოზის გაკეთება არ შემიძლია, შემიძლია გითხრათ მხოლოდ ერთი რამ, რომ მომავალში სახელმწიფოს მიდგომა სამედიცინო დარგისადმი სრულიად შეიცვლება და შეიცვლება სასიკეთოდ თქვენთვისაც და პაციენტებისთვისაც. ახლა ჩვენ სისტემის გამოსწორებას ვცდილობთ, სისტემა არის შესაცვლელი. ახალი სადაზღვევო პაკეტის პირველ ეტაპზე მდგომარეობა ცოტა გაუმჯობესდება, 1 ივნისიდან უფრო მეტად, ხოლო სექტემბრიდან, როცა დაზღვევა საყოველთაო გახდება, საგრძნობელი იქნება უკეთესობა. ახალი პროგრამით სახელმწიფო დაფინანსებას მისცემს პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებას და არა სადაზღვევო კომპანიას. ეს ჩვენი კოლეგიალური საუბარია, მე გაგაცანით საქმის არსი. რა გზები და ხერხები გამოინახება, არ ვიცი. თქვენ პირველ რიგში იურიდიულად უნდა დააფიქსიროთ თქვენი სახელფასო დავალიანების შესახებ „ადითის“ მხრიდან,- თქვა თავის გამოსვლაში ბატონმა ზურაბ უტიაშვილმა.

გაფიცულები კმაყოფილნი დარჩნენ-მეთქი, ვერ ვიტყვი. კითხვები - როდის მიიღებენ ხელფასს, გადაიბარებს თუ არა სახელფასო დავალიანებას „ადითისგან“ მომავალი X მფლობელი, ან რატომ არ ხორციელდებოდა სათანადო მონიტორინგი იმ სახელმწიფო თანხებზე, რაც სადაზღვევო კომპანიას ერიცხებოდა, პასუხგაუცემელი დარჩა.

* * *

იმავე დღეს ექიმთა ერთი ნაწილი „ადითის“ რაიონულ წარმომადგენელ ხათუნა ზურიკაშვილთან ერთად შეს „ადითის“ სათაო ოფისს ეწვია და მათ ხელმძღვანელობას შეხვდა. თუმცა, არც იქ მიუღიათ გარკვეული პასუხი, როდის მიიღებენ ხელფასესბს ან რა ეშველება ამ დანგრეულ-გაპარტახებულ საავადმყოფო - პოლიკლინიკას. ერთი, რაც ითქვა, ის გახლავთ, რომ 11 აპრილს დანიშნულია მორიგი სასამართლო სხდომა „ადითსა“ და „არქიმედეს“ შორის. დავის საგანს 200 ათასი ლარი წარმოადგენს, რომელიც „არქიმედეს“ „ადითსათის“ უნდა ჩაერიცხა.

ამ სასამართლოს იმედზე ყოფნა კი ვერაფერი იმედი და ნუგეშია.

ნაირა გორაშვილი

ულტიმატუმი - ეკლესიას?

რედაქციაში წერილი შემოვიდა, -„პატივცემულო რედაქცია! მოგმართავთ თხოვნით და გადმოგცემთ ყველა იმ დოკუმენტს, სადაც მივმართავდი ყველა ინსტანციას თხოვნით, რომ ჩემი ფოტოატელიე, რომელიც მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროს ეკლესიის ეზოში გადაეტანათ ნებისმიერ სხვა ადგილას. მუშაობა არ შემიძლია და ამით ვირჩენდი თავს(ვარ პენსიონერი). გთხოვთ, დამეხმაროთ ამ პრობლემის მოგვარებაში. პატივისცემით იური მჭედლიშვილი.“ დოკუმენტები, რომელიც თან ერთვის მჭედლიშვილის წერილს, მეტყველებს, რომ ხსენებული ფოტოატელიე, მართლაც იური მჭედლიშვილის საკუთრებაა. ის 2000 წლიდან დაობს კუთვნილი ქონების ეკლესიის ტერიტორიიდან გადატანას და აღნიშნავს, რომ მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, პასუხი არ მიუღია.

როგორც ქალაქის არქიტექტორთან დავით ფხოველიშვილთან საუბრისას შევიტყეთ, ეკლესიამ ფოტოატელიის მეპატრონეს არაერთი ალტერნატიული ფართი შესთავაზა, მაგრამ მჭედლიშვილმა უარი განაცხადა. ისე, რომ მჭედლიშვილის სურვილები უგულებელყოფილი არ დარჩენილა, პირიქით, მისთვის ეკლესიას ფოტოატელიის სანაცვლოდ ჯერ სკვერში არსებული ე.წ. „მწვანე კაფე“ შეუთავაზებია, მერე კი თავისი ჯიხურის პირველი საჯარო სკოლის ეზოში გადატანა, რაზეც ასევე უარი განუცხადებია.

აღნიშნულ საკითხზე შევხვდით მეუფე მელქისედეკსაც. მჭედლიშვილის დოკუმენტების გაცნობის შემდეგ მეუფის კომენტარი ასეთი გახლდათ,- „როგორც საბუთებს გავეცანი, მჭედლიშვილის მიერ გარკვეულ დეზინფორმაციასაც აქვს ადგილი, ის წერს, რომ 2000 წლიდან სთხოვდა მეუფეს ფოტოატელიის გადატანას, თუმცა მე დედოფლისწყაროში მხოლოდ სამი წელია ვმოღვაწეობ, ამიტომ მანამდე რაც იყო, ამაზე ვერ ვაგებ პასუხს. ამ პიროვნების შესახებ კი, რა ხანია ვიცი, ვიცი მისი გულისტკივილიც. ჩვენ, ჩვენის მხრიდან, გარკვეულწილად ხელს ვუმართავდით და არანაირად არ შეგვიშლია ხელი მისთვის შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, ფოტოგადაღებისთვის სამუშაოდ ამაზე მადლიან ადგილას რაღას მონახავდა კაცი?! ისიც ვიცი, რომ მას რამდენიმე ადგილი შესთავაზეს და უარი უთქვამს შეთავაზებულზე. იგი ისეთ ადგილებს ითხოვს, რაც ეკლესიას ნამდვილად არ შეუძლია მოუგვაროს. ხალხმა იცის, რომ ეკლესიას ამის თანხები ნამდვილად არ აქვს. ისე, რომ ამ ამბით ისე დავიღალე, იძულებული ვარ ამ საკითხს საბოლოოდ შევეშვა!“-ამბობს მეუფე მელქისედეკი.

როდესაც აღნიშნულ შეთავაზებებზე მჭედლიშვილს ვკითხეთ, მხოლოდ მაშინღა დაგვიდასტურა, რომ რამდენიმე ალტერნატიულ ფართს მართლაც სთავაზობდნენ, მაგრამ თავადვე უარი თქვა, რადგან არ აწყობდა. კითხვაზე, მაინც რას ითხოვდა სანაცვლოდ, გვიპასუხა, რომ თავისი „ფოტოატელიე“ ეკლესიის ქვემოთ, ეზოში არსებულ კართან ჩაუდგან(?). სხვა ადგილი, რაც მჭედლიშვილს სურს და გამიგვიმხილა, ეს ცენტრში მდებარე პატარა ავეჯის მაღაზიაა(!).

ვფიქრობ, ეს ის შემთხვევაა, როცა კომენტარი ზედმეტია, ამიტომ უკეთესად ჩავთვალეთ ამ მოთხოვნის შესახებ მოსახლეობის აზრი ჩაგვეწერა, რათა უკეთესად გაიგოს მომჩივანმა და ამავე დროს “დაზარალებულმა”, თუ, რას ფიქრობს საზოგადოება ამ საკითხზე.

-„როგორც მე ვიცი და ამბობენ, ეს ის კაცია, რომელიც ფოტოატელიეში ხალხს აგროვებს და არათუ მუშაობს, პირიქით სვამენ და ითვრებიან, ერთხელ ამ ეზოში წაქცეულიც ვიხილე, მესანთლემ ააყენა და მიხედა. წესით უნდა უკრძალავდნენ, მაგრამ არავინ არაფერს კადრებს და ყველა მოთმინებით ეკიდება მის საქციელს. თუკი ის სმას ახერხებს ეკლესიის ეზოში მდგომ ატელიეში, მუშაობაში ვიღამ შეუშალა ხელი?! ან ამაზე მადლიან ადგილას სადღა უნდა იმუშაოს?! როგორ შეიძლება ეკლესიის ისე შებღალვა, რომ იმ ეზოში ვინმე ითვრებოდეს?!“- ამბობს ეკლესიის მრევლი ეთერ გონაშვილი.



-„პირადად მე თუ მკითხავთ, მე რომ მრგებოდა იმის ბედნიერება და უფლის წყალობა, რომ ეკლესიის ეზოში, ამ მადლიან ადგილას ჩემი უძრავი ქონება მოხვედრილიყო, ზეცას ვეწეოდი სიხარულით, ეს კაცი კი პირიქით აქედან მის გატანას ითხოვს?! საოცარია, აქ უფრო კარგ საქმეს ააწყობდა!..“-მარიკა 33 წლის.

-„შესაძლოა ამ კაცს მართლაც უჭირს, მაგრამ ის პენსიონერია და დახმარების ხელის გაწვდა უნდა, მაგრამ უნდა მიიღოს ის, რასაც აძლევენ და ამას უნდა დასჯერდეს, ულტიმატუმების წაყენება ეკლესიისთვის არაა ლამაზი.“ - ირაკლი, 35 წლის.

-„მართალია დოკუმენტები გააჩნია, რაც ადასტურებს, რომ ადგილი მისია და ის წლებია, ამას ითხოვს, მაგრამ, როგორც ჩანს ეკლესიის ეზოში მოქცეულ ფოტოატელიეში ქეიფებმა მშვენიერი ულტიმატუმები და მედიდური მოთხოვნების თუ ფანტაზიების მოგვრა იცის. ვის არ უნდა ცენტრში კარგ ადგილას მაღაზია?! ან ვინ იტყვის უარს?! მაგრამ ეს ყველაფერი იმის ხარჯზე, რომ შენი ფოტოატელიე შემთხვევით , თუ ღვთის წყალობით ეკლესიის ეზოში მოხვდა, ცოტა არ იყოს მოსარიდებელი ამბავია.“-მზია, 53 წლის.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობა აღნიშნულ საკითხს კარგად იცნობს და მათი მოსაზრება ამ თემის ირგვლივ თითქმის ცალსახა და ერთგვაროვანია. რაც შეეხება იურიდიულ მხარეს, ეს ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

ლალი მეხრიშვილი

იაქტიურეთ ბარათის მფლობელებო!

გრძელდება მთავრობის საგაზაფხულო პროგრამა მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს გლეხებისა და ფერმერებისათვის, რომელთაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქთ 5 ჰექტრის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ორი კატეგორიის - ნომინალური და კომბინირებული სასოფლო-სასმეურნეო ბარათის მიღებას, ნომინალური ბარათით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა, ხოლო კომბინირებული ბარათით ხდება ნაკვეთის ხვნა და დადისკვა-გაფხვიერება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ამ კატეგორიის მოსახლეობამ პირველ ეტაპზე უკვე მიიღო კომბინირებული ბარათები და პრაქტიკულად უკვე მიმდინარეობს მათი გამოყენება. დიდმა ნაწილმა უკვე მოხნა ნაკვეთები. შპს „მექანიზატორის“ ინფორმაციით მოხნულია გამარჯების, ოზაანის, არხილოსკალოს, სამთაწყაროს მიწები ორ დღეში დამთავრდება ქვემო ქედის და ზემო მაჩხაანის ნაკვეთები, სრულად დააბრუნა ბარათები უკან საბათლოსა და ფიროსმანის მოსახლეობამ. ისინი ისარგებლებენ ნომინალური ბარათების პრინციპით. ხვნის პროცესი მთავრდება, ორშაბათიდან დაიწყება გაფხვიერების პროცესი. არასაურველია, რომ მოსახლეობა შესაბამისად არ ჩქარობს. არ აქტიურობს და იჩენს ინერტიულობას. კომბინირებული ბარათების მფლობელებმა რაც შეიძლება სწრაფად, ნებისმიერ დროს, უნდა მიმართონ შპს „მექანიზატორს“, საიდანაც შეუფერხებლად მოემსახურებიან. გამართული ტექნიკა, კვალიფიციური პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებულ განხორციელებას, რომელიც თვის ბოლომდე დასრულდება, თუ, რა თქმა უნდა, ამინდმა ხელი არ შეუშალა.

პარალელურად მიმდინარეობს ნომინალური ბარათების დარიგება 5 ჰექტრის ფარგლებში მინის მფლობელ მოქალაქეებზე, რომელიც ითვალისწინებს 1 ჰექტარზე 300 ლარის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენის შესაძლებლობას. ვისაც მოხნული და დათესილი აქვს საშემოდგომო კულტურები, მათთვის მნიშვნელოვანია დროულად გამოცხადდნენ საკრებულოებში და მიიღონ ნომინალური ბარათები, რათა სპეციალიზირებულ მაღაზიებში შეიძინონ სასუქი და გამოიყენონ ის აგროტექნიკურ ვადებში.

ხარვეზების აღმოსაფხვრელად შედგა დამატებითი სიები, რომელიც გადაეგზავნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში, დარიგდება დამატებით სიებში მოხვედრილი მოქალაქეების კუთვნილი ბარათებიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არის მოსახლეობის მცირე ნაწილი, რომელმაც ვერ მიიღო მონაწილეობა პროგრამაში და ვერ მოხვდა სიებში. ეს, ძირითადად, მათი უყურადღებობის შედეგია და პერსპექტივა არ გააჩნია, რადგან უკვე დამთავრებულია ყოველგვარი სიების შედგენა.

კითხვით, **თუ რატომ მოხდა ასეთი შემთხვევები, მივმართეთ ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს** ბესიკ ცისკარაულს.

- აღნიშნულ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ ნოემბრის თვეში დაიწყო. დიდი და ინტენსიური ღონისძიებები გავატარეთ, რომ არავინ დარჩენილიყო უკმაყოფილო. განცხადებები გავაკარით თითქმის ყველა მაღაზიაში, მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებში, ბაზარში, ქუჩა-ქუჩა მეგაფონებით ვაცხადებდით, რომ მოსულიყვნენ ქალაქის საკრებულოში და დაეფიქსირებინათ მათ მფლობელობაში არსებული ნებისმიერი ოდენობის მიწა. შემდეგ ზონებად დავყავით ქალაქის ტერიტორია და ჩვენმა თანამშრომლებმა კარდაკარ შემოვლის მეთოდით ჩაატარეს აღწერები,მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც დროებით გასული იყო ქალაქიდან ან ვერ მოხერხდა მათთან კონტაქტი რამდენჯერმე მისვლის შემდეგაც. ეს ერთეული შემთხვევებია და ამაში ბრალი ჩვენ არ მიგვიძღვის. საერთოდაც, მოქალაქე აქტიური უნდა იყოს და თვალყურს ადევნებდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მით უმეტეს, ახლადმოსული ხელისუფლების პირობებში, რომელიც უამრავ სიახლეს და სიკეთეს გვპირდება. დღევანდელი ინფორმაციით, პროგრამის ეს ეტაპი დასრულებულია და აღარ მიმდინარეობს სიების შედგენა. ქალაქში 1458 მოქალაქეა რეგისტრაციაში გატარებული, ხოლო საერთო საჰექტარო რაოდენობა 445 ჰექტარის ფარგლებშია. რაც შეეხება მიმდინარე პროცესებს, დარიგდა პირველად გაგზავნილი სიების მიხედვით მოსული კომბინირებული ბარათები. ხვნას შეფერხება არ აქვს. შპს „მექანიზატორში“ ზის ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც დაუყოვნებლივ აფორმებს შესაბამის დოკუმენტს შესრულებული სამუშაოს შესახებ. ისე რომ, მოქალაქეს არც შპს „მექანიზატორის“ და არც საკრებულოს მხრიდან დაბრკოლება არა აქვს - განაცხადა ბესო ცისკარაულმა.

ანალოგიური მდგომარეობაა სოფლებში. და როგორც ზემოთაც ვთქვით, ახლა მთავარია, ამინდმა შეგვიწყოს ხელი და მოქალაქეებმა იაქტიურონ.

ნინრა გორაშვილი

კონკურსი „შეცვალე ზღაპრის დასასრული“

უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტი“, რომლის უმთავრესი მიზანია საქართველოს სემიარიდული ლანდშაფტის უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვა. პროექტს ერთობლივად ახორციელებენ სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი” და ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია „ფაუნა და ფლორა“. სიტყვა „სემიარიდული“ ნახევრად მშრალს ნიშნავს, დედოფლისწყაროს უმეტესი ნაწილიც სწორედ ნახევრად მშრალ ლანდშაფტებს მოიცავს, ამიტომ პროექტის ერთ-ერთი ძირითადი სამოქმედო არეალი ჩვენი მუნიციპალიტეტია.

2010 წელს პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მტაცებლების მიმართ ხალხის წარმოდგენების და დამოკიდებულების შესწავლა. კვლევამ აჩვენა, რომ მგლების მიმართ ხალხის დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია; მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დიდ ნაწილს არა თუ არ უზარალიათ, არამედ არასოდეს უნახავთ მგელი, ისინი მაინც უარყოფითად ახასიათებენ მას.

ზემოთქმულიდან ჩნდება კითხვა - საიდან მოდის ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება მგლების მიმართ? ამ კითხვის პასუხს ზღაპრებში, მითებსა თუ ლეგენდებში ვპოულობთ, სადაც მგელი უმეტესად ხარბ და საშიშ ცხოველად არის გამოყვანილი. ბავშვები პირველ ინფორმაციას მგელთან დაკავშირებით სწორედ ზღაპრებიდან იღებენ. ამ დროს შექმნილი წარმოდგენა კი იმდენად მყარია, რომ ადამიანს ცხოვრების ბოლომდე შეიძლება გაჰყვეს, მიუხედავად იმისა, ექნება თუ არა მას მგელთან შეხება. ასეთი გაზვიადებული წარმოდგენების შესაცვლელად აუცილებელია, რომ ადამიანმა მიიღოს სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაცია.

არსებული მცდარი წარმოდგენების შეცვლის მიზნით, „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტი“ აცხადებს **კონკურსს** სახელწოდებით: **„შეცვალეთ ზღაპრის დასასრული“**. ჩავატარეთ გამოკითხვა, თუ ყველაზე ხშირად რომელ ზღაპარს უყვებიან მშობლები ბავშვებს. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით შეირჩა სამი ზღაპარი - კომბლე, სამი გოჭი და წითელქუდა. კონკურსის მონაწილეებმა ამ ზღაპრებიდან უნდა აირჩიონ ერთ-ერთი და გადაასხვაფერონ ისე, რომ ჩანდეს მგლის დადებითი თვისებები, არ იყოს წარმოჩენილი, როგორც ცალსახად ბოროტი არსება და ზღაპარს ჰქონდეს კეთილი დასასრული.

კონკურსის შედეგად შეირჩევა თითოეული ზღაპრის ერთი, საუკეთესო ვერსია, რომლებიც დაიბეჭდება ბროშურაში. გამარჯვებული ზღაპრების ავტორებისთვის მოეწყობა ექსკურსია ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის (მათ შორის სოფლების) სკოლების VI-XII კლასის მოსწავლეებს. ნამუშევრების ჩაბარების ბოლო ვადაა 4 აპრილი.

კონკურსზე რეგისტრაციისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

ნატო ყატაშვილი, ადამიანსა და მტაცებლებს შორის რეაგირების ჯგუფის თემთან კომუნიკაციის ოფიცერი — ტელ: 555 22 42 88

თემურ პოპიაშვილი, ადამიანსა და მტაცებლებს შორის რეაგირების ჯგუფის ხელმძღვანელი — ტელ: 555 54 04 74

ვადიდოთ ქალი, რომლის სიყვარულმაც არ იცის საზღვარი

გაზაფხულის ფერებით მორთულ დარბაზში თავი მოეყარათ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის IIბ კლასის მოსწავლეებს, მათ მშობლებს და ბებიებს, მოწვეულ სტუმრებს. ისეთი გამოპრანჭულები იყვნენ ეს თითისტოლა გოგო-ბიჭები, თვალს ვერ მოსწყვეტდით. პედაგოგმა ნონა პოპიაშვილმა დამსწრეთ შეკრების მიზეზი და მიზანი აუხსნა: – მარტის თვეს ქალთა თვე ჰქვია, ქალბატონებო, სწორედ ამ მიზეზით მოგიწვიეთ დღეს ჩვენთან, ჩვენი მიზანი კი ის გახლავთ, რომ გაჩუქოთ ერთი ლამაზი დღე, გაგახაროთ, გაგამხიარულოთ და მოგეფეროთ.

მართლაც უამრავი ლამაზი ლექსი და სიმღერა მიუძღვნეს პატარებმა საყვარელ დედებს და ბებიებს, იცეკვეს, იმხიარულეს. ამბობენ, დედის ცრემლის ნაწვეთარზე ია ამოდისო, არასოდეს გვენახოს თქვენს თვალზე ცრემლი, ჩვენო საყვარლებო და ძვირფასებო, თქვენ ხომ ის ადამიანები ხართ, ვინც ყველაზე გვიან იძინებს და ყველაზე ადრე იღვიძებს იმისათვის, ჩვენ არაფერი მოგვაკლდეს, დღესასწაული საჩუქრის გარეშე უფერულია, ჩვენც ვიფიქრეთ თქვენს საჩუქარზე და შეგირჩიეთ კიდეც, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ყველაზე დიდი საჩუქარი ის არის თქვენთვის, რომ ჩვენ რომ კარგად ვისწავლით, კარგად მოვიქცევით, რადგან მთავარი შვილის გაჩენა კი არა, მისი გაზრდა და აღზრდაა. იცოცხლეთ, იხარეთ და კარგი დედობით მოგეხადოთ სამშობლოს ვალი– ეს იყო მთავარი გზავნილი შვილებისა და შვილიშვილებისაგან მიძღვნილი ქალბატონებისადმი. შემდეგ თითოეული მათგანი ლექსით მოეფერა საყვარელ ბებიას, მიართვა იების თაიგული და მისთვის საგანგებოდ შერჩული საჩუქარი. თანაკლასელმა ვაჟებმა კი უყურადღებოდ არ დატოვეს გოგონები და ლამაზ-ლამაზი თმისასამაგრები მიართვეს სამახსოვროდ.

საგანგებოდ გამოპრანჭულმა გოგონებმა პოდიუმზე მოიწონეს თავი ნარნარი სიარულით და მოდელის მანერებით და დამსწრეთ მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობნენ.

პედაგოგ ნონა პოპიაშვილს და ბავშვებს ამ დიდი სიამოვნებისთვის მადლობა გადაუხადა პედაგოგმა და ბებიამ ნანა სულაშვილმა.

ამ დღით მაკო კოტაშვილს 8 წელი შეუსრულდა, ბავშვებმა მიულოცეს თანაკლასელს ეს დღე და მისი მორთმეული ტორტი დააგემოვნეს.

ეს ლამაზი დღე თითოეულ მათგანს დიდხანს ემახსოვრება.

ნაირა გორაშვილი.

ტურნირი ჭადრაკში

8 მარტს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ინიციატივით ჩატარდა ნუნუ კობაიძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში, სადაც მონაწილეობდნენ როგორც უფროსი ასაკის მოჭადრაკეები, ასევე სკოლის მოსწავლეები.

უფროსებს შორის პირველი ადგილი დაიკავა პეტრე მამულაშვილმა, მეორე ადგილი — გიორგი კიკილაშვილმა, ხოლო მესამე — ამირან ბილიაშვილმა.

სკოლის მოსწავლეებს შორის პირველ ადგილზე გავიდა გიორგი ბაცაცაშვილი, მეორე ადგილზე — გიორგი ღვინიაშვილი, მესამე ადგილი კი ნინო მახარაშვილმა დაიკავა.

როგორც კულტურისა და სპორტის ცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ნინო მახარაშვილმა.

აღსანიშნავია,რომ გამარჯვებულებისთვის პრიზები დააწესა ტურნირში მონაწილე გიორგი კიკილაშვილმა. პირველ და მეორე ადგილზე გასულ მოსწავლეებს გადაეცათ 50-50 ლარი.

მოჭადრაკე ნუნუ კობაიძე სოფელ ზემო ქედიდან იყო. ტურნირი მისი ხსოვნის საპატივსაცემოდ მოეწყო.

ზემოქედელები მრავალშვილიან დედებს მოეფერნენ

8 მარტს კიდევ ერთი ლამაზი კაფე-საღამო მიეძღვნა მრავალშვილიან დედებს, რომელიც სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლში გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სოფლის მკვიდრი მრავალშვილიანი დედები: გიული ჩიტაური (4 შვილის დედა), ლალი ბლიაძე (4 შვილის დედა), ლალი მელიქიშვილი (6 შვილი), ლია ჭიკაიძე (6 შვილი), ცისანა ტატუნაშვილი (4 შვილი), მერი ზვიადაური (4 შვილი), კესო ხაბელაშვილი (4 შვილი), თამილა წიკლაური (4 შვილი), რიმა ჭყოიძე (5 შვილი), ხათუნა თანდილაშვილი (4 შვილის დედა), დოდო ბეჟიტაშვილი (5 შვილი), ლეილა წიკლაური (6 შვილი), ბაბული ჩარბოდაშვილი (5 შვილი), მაია შერმადინი (5 შვილი), მაყვალა ქავთარაძე (4 შვილი) და მანანა გაროზაშვილი (6 შვილი).

კაფე-საღამო მიჰყავდა სოფელ ზემო ქედის ბაღის გამგეს მაია ყველაშვილს. სოფლის მკვიდრი პატარა მომღერლები: ნიკა და ელენე წიკლაურები, მარიამ მოთიაშვილი, ლუკა ხარხელაური, ნინო და მარიამ კირვალიძეები, ანი ბუჩუკური, თინიკო და ია მელიქიშვილები, მარიამ ბურდული, მედეა ბუჩუკური, ანი ვარდიშვილი (ხელმძღვანელი მაყვალა წიკლაური) ტოლს არ უდებდნენ კულტურის სახლის თანამშრომლებს გია ქავთარაძეს, თამარ კობაიძეს, გელა ბექაურს, ვაჟა ბურდულს, გივი ლაზვიაშვილს, ნოდარ ჟიჟიაშვილს, მაყვალა წიკლაურს.

მრავალშვილიან დედებს საკუთარი ლექსები მიუძღვნა გელა ბექაურმა.

ღონისძიების ბოლოს კულტურისა და სპორტის ცენტრის წამყვანმა სპეციალისტმა ლელა ბილიაშვილმა ცენტრის მიერ შეძენილი ფასიანი საჩუქრები გადასცა მრავალშვილიან დედებს. იყო სიხარულისა და მადლიერების ცრემლები.

მრავალშვილიანი დედებისთვის მიძღვნილ ღონისძიებას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებიც დაესწრნენ.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ასეულში 7 დედოფლისწყაროელია

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მე-2 ტურში საუკეთესო შედეგი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებმაც აჩვენეს. როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან „შირაქს“ აცნობეს, ოლიმპიადაში საუკეთესო შედეგი დედოფლისწყაროდან შვიდმა მოსწავლემ აჩვენა. პირველი საჯარო სკოლიდან ოთხმა, დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლიდან მეათე კლასის მოსწავლე სოფიკო მენთეშაშვილმა, ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის მე-11 კლასიდან თორნიკე ტატუნაშვილმა და ქვემო ქედის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე თორნიკე ახალაურმა.

სასწავლო ოლიმპიადის მე-2 ტურში საუკეთესო შედეგები ყველაზე მეტმა მოსწავლემ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლიდან აჩვენა. როგორც სკოლის ადმინისტრაციაში განმარტავენ, საუკეთესო შედეგების მქონე მოსწავლეთა ასეულში მოხვდნენ და ოლიმპიადის მე-3 ტურში გადავიდნენ სკოლის მოსწავლეები: გიორგი ყოჩიაშვილი (ინგლისურ ენასა და ისტორიაში), სოსო ჩუთლაშვილი (რუსულ ენაში), ქეთი ჩაფიაშვილი (ქართულ ენასა და ლიტერატურაში) და მარიამ გოგოშვილი (ბიოლოგიაში).

როგორც №1 საჯარო სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, საუკეთესო შედეგების მქონე მოსწავლეები დიდ ბრიტანეთში გაემგზავრებიან.

„ყოველ შაბათსა და კვირას თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის შენობაში გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩაატარებს მე-3 ტურის ტესტირებას. შედეგები მიმდინარე წლის აპრილში გამოცხადდება, ოლიმპიადის მე-3 ტურში საუკეთესო შედეგების მქონე გამარჯვებულ მოსწავლეებს კი საერთაშორისო ბანაკში დიდ ბრიტანეთში გაგზავნიან. ბოლო ოთხი წელია, საუკეთესო შედეგები გვაქვს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე. ამ პერიოდში გვყავდა მე-3 ტურში გამარჯვებული მოსწავლეებიც — პაატა კიკილაშვილი გეოგრაფიაში, გიორგი ყოჩიაშვილი ისტორიაში, ქეთი სეფიაშვილი ბიოლოგიაში და სხვა. პაატა კიკილაშვილი მიწვეული იყო დიდ ბრიტანეთში,“ — აღნიშნა მაია ლაპიაშვილმა.

„ეს მაჩვენებელი ძალზედ საამაყო და მნიშვნელოვანია, რადგანაც საქართველოს მასშტაბით იშვიათ სკოლას აქვს ასეთი შედეგები. ეს გამარჯვება მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის ადმინისტრაციის დაუღალავი და მიზანმიმართული შრომის შედეგია. ვულოცავთ ჩვენს წარმატებულ მოსწავლეებს და ვუსურვებთ ოლიმპიადის მე-3 ტურიდან გამარჯვებით დაბრუნებას. ასევე დიდ მადლობას ვუხდით სკოლის ადმინისტრაციას სკოლაში საუკეთესო სასწავლო გარემოს შექმნისთვის და იმ მასწავლებლებს, ვისაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენი მოსწავლეებისთვის საკუთარი სასწავლო საგნის საუკეთესოდ სწავლებისთვის და ოლიმპიადაში გამარჯვებისთვის,“ — აცხადებენ პირველ სკოლაში.

ამასთან, ეს მაჩვენებლები პოზიტიურად აისახება სკოლის ავტორიზაციის დროს სასწავლო პროცესის შეფასებისას.

ილია მარტყოფლიშვილი

მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში

2013 წლის 14 მარტს ქ. დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზში, გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში.

შეჯიბრში მონაწილეობდა ხუთი წონითი კატეგორია. 60, 70, 80 წონით კატეგორიაში მონაწილეობდნენ 18 წლამდე ასაკის მოზარდები. 80კგ და ზემოთ წონით კატეგორიაში უფროსი ასაკის სპორტსმენები.

შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

60 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა ნიკა ჯერვალიძემ(არხილოსკალო), მეორე ადგილი - ლევან ბუთხუზმა(ქვ. ქედი), მესამე ადგილი - ალექსი წიკლაურმა (არხილოსკალო).

70 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა დავით წიკლაურმა(ზემო ქედი), მეორე ადგილი - ბექა ბუჩუკურმა(ზემო ქედი), მესამე ადგილი - მამუკა ყეინიშვილმა(ქ. დედოფლისწყარო).

80 კგ. წონით კატეგორიაში(მოზარდები) პირველი ადგილი დაიკავა ზაზა კაკალაშვილმა (არბოშიკი), მეორე ადგილი - ირაკლი წიკლაურმა(არხილოსკალო), მესამე ადგილი-აჩიკოწიკლაურმა(არხილოსკალო).

80 კგ. წონით კატეგორიაში(უფროსი ასაკი) პირველი ადგილი დაიკავა გელა ნეკრესელაშვილმა (არხილოსკალო), მეორე ადგილი - გიორგი ჭიკაიძემ(ზემო ქედი), მესამე ადგილი გოჩა ფხიკლაშვილმა (გამარჯვება).

80 კგ. - ზე მეტ წონით კატეგორიაში (უფროსი ასაკი) პირველი ადგილი დაიკავა ზაზა კობაიძემ(არხილოსკალო), მეორე ადგილი - ილია კობაიძემ, მესამე ადგილი - ივანე ნასიძემ(ქ. დედოფლისწყარო).

შეჯიბრის ბოლოს, პირველ ადგილზე გასული სპორტსმენები, კულტურისა და სპორტის ცენტრის მიერ დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, ხოლო მეორე და მესამე ადგილზე გასულებს გადაეცათ დიპლომები. მათ საჩუქრები გადასცა კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორის მოადგილემ ქალბატონმა ნინო ნიკვაშვილმა.

შეჯიბრს მსაჯობდნენ გიორგი ჯიხვიშვილი, გელა ნეკრესელაშვილი და სოსო უთრუთაშვილი. მთავარი მსაჯი და მწვრთნელი - გიორგი ბექაური.

შეჯიბრის ორგანიზატორი გახლდათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი მამუკა ალადაშვილი.

თავისუფალი ჭიდაობა

მიმდინარე წლის 1-3 მარტს , ქალაქ საგარეჯოში, ჩატარდა კახეთის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს ტურნირზე და დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

35 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ნიკა ბიკაშვილმა, 42კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა- გიორგი კარატიელმა, 54კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი-ირაკლი ბურდულმა, 58კგ. წონი კატეგორიაში პირველი ადგილი- გელა ქოქიასვილმა, 58კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი- ალეკო სულაშვილმა, 63კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი- ირაკლი მენთეშაშვილმა, ხოლო 69 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა მამუკა არაბულმა.

გუნდს გამოცდილი სპორტსმენი, სპორტის დამსახურებული მწვრთნელი დათო გონაშვილი წვრთნის და შედეგებიც შესაბამისია.

სანდა

საქართველოს კუნგ-ფუ ს ეროვნული ფედერაცია
NATIONAL FEDERATION KUNG- FU OF GEORGIA
№ 280 10. 03. 2013.

სამადლობელი წერილი

დედოფლისწყაროს კუნგ ფუ-ს კლუბის ხელმძღვანელს ბატონ გენადი ნატროშვილს.

ბატონო გენადი.

ჩვენ, როგორც ფედერაციის პრეზიდენტს და მთელი ფედერაციის ინსტრუქტორებს საამაყოთ , მინდა დიდი მადლობა გადგიხადოთ იმ შრომისთვის, რომელსაც თქვენ ახორციელებთ ჩვენი ფედერაციის ფარგლებში და იმ წვლილისთვის, რომელიც თქვენ შეიტანეთ საქართველოში, კერძოდ დედოფლისწყაროს რეგიონში კუნგ ფუ-სანდაოს განვითარების საქმეში.

კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ის წარმატებები , რომლებსაც მიაღწია თქვენმა კლუბმა ამ და სხვა ტურნირებზე და გისურვოთ წინსვლა და მრავალი სხვა გამარჯვება.

პატივისცემით,

საქართველოს კუნგ-ფუ-ს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი / ო. ფანჩულიძე /

9-10 მარტს ჩატარდა ევრათამაშება კუნგ-ევრაზიის თასმაღალი რანთასის გათამაშეობდა 200-ნი, ავღანეთიოს, დაღესტნის, სასომხეთის და სპორტული ჯიბრში მონაწილეზემო მაჩხაანის სპორტულმამა“. ახალბედა შეჯიბრიდან დლით და ცხრალით დაბრუნდ-

შეჯიბრში დაიკავეს გიორტროშვილებმა, მა საუკეთესო და ერთმანეთზე ჩაატარა. პირმფლობელი გახკოხტაშვილიც, ბედა სპორტს-

მეორე ადნიკა ქევხიშვიძე, ნოდარ ვარდიაშვილი, თამაზ გაბიტაშვილი, ლევან მარტყოფლიშვილი.

მესამე ადგილზე გავიდნენ: ლუკა მარტყოფლიშვილი, გიორგი ტოკლიკიშვილი, ლაშა ქევხიშვილი, დათო თარაშვილი. საბოლოოდ, შეჯიბრის 15-მა მონაწილემ 12 მედალი მოიპოვა.

საქართველოს კუნგ-ფუს ეროვნულმა ფედერაციამ ოთხ მწვრთნელს გადასცა მადლობის წერილი, მათ შორის კლუბ „ზაქების“ მწვრთნელს გენადი ნატროშვილსაც.

ქ. თბილისში ზიის თასის გაფუ-სანდაში ზე. ეს საკმაოდ გის შეჯიბრია. შებაში მონაწიმდე სპორტსმეირანის, ერაყის, აზერბაიჯანის, საქართველოს კლუბები. ამ შელეობა მიიღო ორთაბრძოლების კლუბმა „ზაქებსპორტსმენები სამი ოქროს მესაპრიზო ადგინენ.

პირველი ადგილი გი და გიგა ნაამ უკანასკნელშედეგი აჩვენა კარგი ბრძოლები ველი ადგილის და ასევე ალეკო რომელიც ახალმენია.

გილზე გავიდნენ: ლი, გელა ჩაფი-

ძიუდო

6თებერვალს ქალაქ საგარეჯოში ჩატარდა რეგიონალური პირბელობა ჭაბუკებს შორის საქართველოს ფინალური პირველობისთვის „ძიუდოში“. დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა შჯიბრზე კარგი შედეგები აჩვენეს. კერძოდ, 55კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა ბექა გაგაძემ, 46კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი წილად ხვდა ნიკა კობაიძეს, 46კგ. წონით კატეგორიაში მერე ადგილის მფლობელი გახდა ვაჟა ბუბუნაური, 50 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი ნიკა ზვიადაურმა დაიკავა, ხოლო 60კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი- ნიკა ბედოიძემ, 73კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი გიორგი გუგენიშვილს ერგო, ხოლო 81 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ლაშა პაპუაშვილმა.

* * *

24-25 თებერბალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ფინალური პირველობა ჭაბუკებს შორის „ძიუდოში“. 55კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა ბექა ნათათრალაშვილმა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

მონატრება

რუსუდან ჯანიკაშვილი

ჩვენო ტკბილო და თბილო დედა, 18 მარტს შენი დაბადების დღეა, 75 წლის გახდებოდი. როგორ გვენატრები, დედა. შენი ხმა, შენი მოფერება გვენატრება, შენი დარიგება, რომელსაც სულ სხვანაირი ძალა ჰქონდა.შენ ხომ ამქვეყნად კარგი ადამიანის სახელი დატოვე, 30 წელი საბავშვო ბაღში იმუშავე და სხვის შვილებსაც ისეთივე სითბოთი ზრდიდი, როგორც საკუთარს. ამიტომაც უყვარდი უამრავ ადამიანს, შენს აღზრდილებს... რა მალე გადის დრო, თუმცა ის ტკივილს ვერ ანელებს...

18 მარტს ერთად შევიკრიბებით შენი შვილები და შვილიშვილები, მოვალთ შენს სამუდამო განსასვენებელთან და იქ მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს ყვავილებითა და სანთლებით.

მეუღლე როზინზონი, შვილები:ციცინო, ლია, მაია, დიმიტრი; შვილიშვილები, შვილთაშვილი საბა

მონატრება

ნაირა ბიკაშვილი

ნაირა გილოცავთ გაზაფხულის მოსვლას და დაბადების დღეს -17 მარტს.

ბუნება იღვიძებს, ყვავილებით გადაიპენტა მდელოები, უამრავი ლამაზი ფერების ირგვლივ, შენ რომ გიყვარდა ისეთი, მაგრამ - უშენოდ. შენ ძალიან კარგი შვილი გაზარდე და კარგი ოჯახიც შექმნა.

ნაირა, ჩვენო ძვირფასო, ჩვენო ტკივილო და მონატრებავ, შენს დაბადების დღეს შევიკრიბებით შენს საფლავზე, მოგიტანთ ყვავილებს და დაგინთებთ სანთლებს. ნათელში იყავ ჩვენს მიერ დანთებული სანთელი და საკმეველი გინათებდეს გზას ცათა სასუფეველში. გვიყვარხარ, გვენატრები და გვახსოვხარ ყველას.

შენი ნოდარი, ზურა, ინგა.

მეუღლე ვალიკო, შვილები: ეთერი, ტასო ელიზბარაშვილები; და ცირა კუსრაშვილი, შვილიშვილები: გიორგი სოფო; სიძეები; ივერი ლათიბაშვილი, ზაზა შუბითიძე მწუხარებით იუწყებიან

დარიკო (მერი) კუსრაშვილ-ელიზბარაშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 12 მარტს ქ.დედოფლისწყაროში.

მონატრება

ლალი მაძღარაშვილი

19 მარტი შენი დაბადების დღეა, ჩემო ლალი. ამ დღეს შენ 36 წლის გახდებოდი, მაგრამ უკვე თერთმეტჯერ მოვიდა გაზაფხული უშენოდ. ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდა გაზაფხულის მოსვლა, მაგრამ რაც შენ წახვედი ამ ქვეყნიდან, მე აღარ მინდა გაზაფხულის მოსვლას უშენოდ შევხვდე, რაც ჩემთვის ძალიან მწარეა დამტანჯველი.

ჩემო საყვარელო შვილო, რაც დრო გადის უფრო მეტად მიყვარხარ და მენატრები. გული ძალიან მტკივა იმიტომ, რომ ბევრი ფიქრი და ოცნება დამრჩა აუსრულებელი.

ჩემო ლალიკო, ძალიან გვენატრებით ყველას შენც და მამაშენიც. თქვენთვის ვლოცულობთ, რათა ნათელში იყოს თქვენი სულები.

19 მარტს მოვალთ შენს მარადიულ სასუფეველთან. მოგიტანთ ბევრ ყვავილებს, დაგინთებთ 36 წმინდა სანთელს და ცრემლით დაგინთებთ გულზე დაყრილ მიწას. ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროთ მამა-შვილს. იძინეთ მშვიდად ჩემო ქმარ-შვილო.

თქვენზე მუდამ მტირალი

მარიკა მაძღარაშვილი.

საგანგაშო მასშტაბები

სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე, დედოფლისწყაროს მთავარ ნაგავსაყრელზე ახლახან ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების მიუხედავად, პრობლემა კვლავ სერიოზულად დგას და ჩატარებული სამუშაოები არასაკმარისია. მთავარ პრობლემად რჩება პოლიეთილენის პარკები, რომლებიც საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა მოფენილი. შეწუხებულმა მოსახლეობამ დახმარების თხოვნით გაზეთ „შირაქის“ რედაქციას მიმართა.

გარდა იმისა, რომ საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე მოფენილი პოლიეთილენის პარკები არაესთეტიურად გამოიყურება და ქარი გამუდმებით წინ და უკან დააფრიალებს, მათ გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების კუთხითაც საკმაო ზიანის მოტანა შეუძლიათ. მით უფრო, ეს საკითხი მტკივნეული უნდა იყოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის, რადგან როგორც ცნობილია, საქართველოში გაუდაბნოებისკენ ყველაზე მეტად სწორედ დედოფლისწყაროს რაიონია მიდრეკილი. გარემოს დამცველები და მკვლევარები ირწმუნებიან, რომ მინდვრად გაშლილი პოლიეთილების პარკები კლიმატის ცვლილებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ. ამიტომ, მათივე რეკომენდაციით, სხვადასხვა სახის კამპანიები აქტიურად მიმდინარეობს, რათა პრაქტიკულ მოხმარებაში და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში პოლიეთილენის პარკები ქაღალდის, ან ნაჭრის ჩანთებით ჩანაცვლდეს. არასამთავრობო სექტორი ცდილობს, ეს კულტურა მოსახლეობაშივე დანერგოს.

პრობლემის შესწავლისას გაირკვა, რომ დედოფლისწყაროს მოსახლეობა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში საკუთარ დაუდევრობასაც აღიარებს და ამ ტერიტორიის დასუფთავების მიზნით შაბათობის მოწყობის ინიციატივით გამოდის:

„სერიოზულ პრობლემად იქცა პოლიეთილენის პარკები, რომლითაც ანძის გარშემო მთელი ტერიტორიაა აჭრელებული. რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ტექნიკამ ტერიტორია უკვე გაასუფთავა, მაგრამ ეს ცელოფნის პარკები ისეა მოფენილი, ვერაფერი ეშველა. ქარმა ისინი მთელ ტერიორიას მოჰფინა. ალბათ, უპრიანი იქნება, რამდენიმე დღე რიგითმა დედოფლისწყაროელებმა ამ პრობლემას დავუთმოთ, შაბათობა მოვაწყოთ და ეს ტერიტორია დასუფთავდეს. ხელით თუ არ იმუშავე, ტექნიკით ამ პრობლემის გადაჭრა და ადგილის გაწმენდა თითქმის შეუძლებელია. გავერთიანდეთ და ყველამ ერთად დავასუფთაოდ. ისიც აშკარაა, რომ ეს პრობლემა ბევრი ჩვენგანის დაუდევრობით არის გამოწვეული. საერთოდ არ ვზრუნავთ ჩვენი ქალაქის სისუფთავეზე.ასეთი სიტუაცია მანამდე გვექნება, სანამ თითოეული ჩვენგანი არ გავაცნობიერებთ, რომ სისუფთავეზე საკუთარი ეზოებს გარეთაც უნდა ვზრუნავდეთ,“ - აცხადებს პრობლემით შეწუხებული მოსახლეობა.

დედოფლისწყაროს დასუფთავების სამსახური მუნიციპალიტეტის მთავარ ნაგავსაყრელზე ახლახანს ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების არასაკმარისობას „შირაქთან“ საუბარში აღიარებს და პრობლემის მასშტაბურობაზე მიანიშნებს. შპს „სერვისი 2007“-ის ხელმძღვანელი **ელიზბარ ალუღიშვილი** ამბობს, რომ ნაგავსაყრელზე კატასტროფული ვითარება დახვდა. მისი თქმით, ჯერ უცნობია, როგორ მოგვარდება პრობლემა, თუმცა გზები უნდა მოიძებნოს.

ელიზბარ ალუღიშვილმა გაზეთ „შირაქთან“ ექსკლუზიური კომენტარი გააკეთა.

„ანძის მიმდებარედ გზა უკვე გადაითხარა, რომ მოსახლეობა მანქანით აღარ შევიდეს და ტერიტორია აღარ დაბინძურდეს. ეს თავიდან აგვაცილებს, ნაგვის უადგილო გაშლას. რაც შეეხება ცელოფანს, ამ მხრივ მართლაც კატასტროფული ვითარებაა. ამ თანამდებობაზე როგორც დავინიშნე, მაშინვე ეს ტერიტორია მოვინახულე და ძნელად მოსაგვარებელი ვითარება დამხვდა. სიმართლე გითხრათ, ამ პოლიეთილენის პარკების პრობლემა როგორ უნდა აღმოვფხვრათ, ამის კონკრეტული გზა ჯერ მოფიქრებული არ გვაქვს. მოგეხსენებათ, ეკლიანი ბუჩქებია და მისი გასუფთავება ხელით უნდა მოხდეს, ვფიქრობ, სხვანაირად მისი გაწმენდა ვერ მოხერხდება. პრობლემის მასშტაბურობიდან ჩანს, რომ ამას დაჭირდება საკმაოდ ბევრი ადამიანი და რამდენიმედღიანი შრომა... ალბათ, გამაფრთხილებელი ბილბორდებიც უნდა დაიდგას, რომ ამოქმედდეს დაჯარიმების მექანიზმი და მოსახლეობა დაუდევრად ნაგვის დაყრას მოერიდოს. ამ ტერიტორიაზე კოლოსალური სამუშაოები იყო და ახლაც არის ჩასატარებელი. ცელოფნის გარდა აქ წლების განმავლობაში იყრებოდა მიწა და სხვადასხვა სახის ნაგავი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არ გაწმენდილა. უზარმაზარი მოცულობის სამუშაოს დიდი ნაწილი უკვე ჩავატარეთ, გაიწმინდა ნაგავსაყრელი, მოწესრიგდა მასთან მისასვლელი გზა,” - აღნიშნავს ელიზბარ ალუღიშვილი.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა ამ ტერიტორიის დარაჯი, რომელიც ნაგავსაყრელს რამდენიმე წლის განმავლობაში პატრონობდა. დარაჯის გარდაცვალების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ნაგავსაყრელისნ ტერიტორიის დაცვაზე აღარავინ ზრუნავს.

შპს „სერვისი 2007“-ში გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ადასტურებენ, რომ ტერიტორიის მოვლა-პატრონობა მათი მოვალეობაა. თუმცა, სამსახურის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ დარაჯის დანიშვნის საკითხი ამ დრომდე იმ მიზეზით ვერ მოგვარდა, რომ ნაგავსაყრელზე დარაჯის საცხოვრებლად შესაბამისი შენობა და პირობები არ არსებობს. მხოლოდ ამ პრობლემის მოგვარების შემდეგ გახდება შესაძლებელი, ნაგავსაყრელთან დარაჯი დაინიშნოს და იქ არსებული ვითარება კონტროლს დაექვემდებაროს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი შიოლაშვილსაც, დასუფთავების სამსახურის მსგავსად, ამ პრობლემის მოგვარება მასშტაბური შაბათობის ჩატარებით ესახება, სადაც რიგითი დედოფლისწყაროელები აქტიურად ჩაერთვებიან.

ილია მარტყოფლიშვილი

მხარდაჭერისთვის დააჯილდოვეს

ნანა ჭიჭინაძე დედოფლისწყაროს რაიონში სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდამჭერი პროექტებისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა დააჯილდოვა.ვულოცავთ ქალბატონ ნანას ამ ჯილდოს და კვლავ უშრეტ ენერგიას ვუსურვებთ.

მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა

სამრეკლოს ბაგა-ბაღის 2-3 წლიან ბავშვთა ჯგუფის თანამშრომლები დიდ სიხარულს გამოხატავენ და დიდ მადლობას უხდიან ჯგუფის აღსაზრდელის ბარბარე ნუცუბიძის მშობლებს- ნათელა კახეთელიძეს და გიორგი ნუცუბიძეს ქველმოქმედებისათვის, რომელთაც გაახარეს ჩვენი პატარები უამრავი სათამაშოებით.

სამრეკლოს ბაგა-ბაღის თანამშრომლები

ინკუბატორი დედოფლისწყაროში

წარმოებს კვერცხის მიღება და ჩაწყობა ყოველდღიურად!

მიიღება წინასწარი შეკვეთები წიწილებზე.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას 14.

კულტურის სახლის უკან, შესასვლელი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან.

579 330 741; 557 238 899;
790 408 215;
თამაზ მამულაშვილი

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ იწყებს „ხსოვნის წიგნი“-ს გამოცემას, სადაც შეგიძლიათ თქვენი გარდაცვლილი წევრისა თუ ოჯახის ახლობლის მოხსენიება.

„ხსოვნის წიგნში“ გარდაცვლილის ფოტოსურათისა და შესაბამისი ტექსტის განთავსების მსურველებმა გთხოვთ მოაკითხოთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციას. ფასი ხელმისაწვდომია.

ა მ ი ნ დ ი

შაბათი 16. 03		კვირა 17. 03		ორშაბათი 18. 03		სამშაბათი 19. 03		ოთხშაბათი 20. 03		ხუთშაბათი 21. 03		პარასკევი 22. 03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
15 °	9 °	16 °	9 °	4 °	2 °	3 °	0 °	5 °	4 °	9 °	8 °	11 °	8 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნინრა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეხრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K